თბილისის `დინამომ” მოუგო მოსკოვის `სპარტაკს”

თბილისის `დინამოს” და მოსკოვის `სპარტაკის” გუნდები ერთერთი მთავარი პრეტენდენტებია `საბჭოთა კავშირის თასის”.

16 აგვისტოს მოსკოვში მოხდა აღნიშნული გუნდების შეხვედრა. გამარჯვება უფლებას იძლეოდა ნახევრად ფინალში გამოსვლისა, დამარცხებულ გუნდს გზა ეღობებოდა პირველობისაკენ.

თფილისელებმა თამაში მეტად ენერგიულად დაიწყეს. საუკეთესოდ თამაშობენ მცველები, განსაკუთრებით შ. შავგულიძე.

`სპარტაკმა” დიდხანს ვერაფერი გააწყო. თერთმეტმეტრიან თავისუფალი დარტყმიდან გატანილი ბურთი თბილისის ფეხბურთელებმა 29 წუთზე გაქვითეს.

სამი წუთით ადრე ტაიმის დამთავრებამდე თბილისელების ბადეში მეორე ბურთი შევარდა, ისიც თერთმეტი მეტრიდან დარტყმული, ანგარიშია 2:1. ერთი წუთის შემდეგ თბილისის ჭიშკარში მესამე ბურთმა გაიარა.

1:3 წააგეს თბილისელებმა თამაშის პირველი განყოფილება. შეჯიბრების ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო. რას შეეძლო დამარცხებისაგან ეხსნა თბილისის გუნდი?

13 წუთით ადრე თამაშის დამთავრებამდე `სპარტაკის” ბადეში შევარდა მეორე ბურთი. ანგარიშია 3:2. თამაში მწვავე ხასიათს ღებულობს. ორი წუთით ადრე შეჯიბრების შეწყვეტამდე თბილისელები ურტყამენ `პენალტს”. ანგარიში გაქვითებულია. წესის თანახმად, მსაჯმა უნდა დანიშნოს დამატებითი დრო, მაგრამ ბნელა, თამაშის გაგრძელება აღარ შეიძლება. მატჩი გადათამაშებულ იქნება.

20 აგვისტოს თბილისის `დინამო” და მოსკოვის `სპარტაკი” კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეჯიბრება დამთავრდა თბილისელების ბრწყინვალე გამარჯვებით 6:3.

ამრიგად, თბილისელი ფეხბურთელები გამოვიდნენ `საკავშირო თასის” გათამაშების ნახევრად ფინალში. გამარჯვებულ გუნდს შეჯიბრება ექნება მოსკოვის `დინამოსთან”, როცა ეს უკანასკნელი ჩეხოსლოვაკიიდან დაბრუნდება.

“კომუნისტი”, 22 აგვისტო, 1936